N596 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2011, 040030000.10.003.016649) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის:

1. 3^1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ევაკუატორით (გარდა ფიქსირებული პლატფორმისა და ობობის ტიპის ამწის მქონე ევაკუატორისა) გადაადგილების საფასური: თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში – 3 ლარი ყოველ

კილომეტრზე, საქართველოს სხვა ტერიტორიაზე – 1.50 ლარი ყოველ კილომეტრზე;“.

2. 3^2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ევაკუატორით (გარდა ფიქსირებული პლატფორმისა და ობობის ტიპის ამწის მქონე ევაკუატორისა) გადაადგილების საფასური: თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში – 3 ლარი ყოველ კილომეტრზე, საქართველოს სხვა ტერიტორიაზე – 1.50 ლარი ყოველ კილომეტრზე;“.

3. 3^3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^3. 112-ის სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა დგომის (გარდა სატრანსპორტო საშუალების ნივთმტკიცების სახით დგომის შემთხვევებისა) საფასური (დღგ-ის ჩათვლით) განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ტიპი	**სადგომზე შეყვანისა და 1 - 5 დღე-ღამის ჩათვლით დგომის პერიოდი**	**5 დღე-ღამის შემდეგ დგომის პერიოდი**
	1 დღე-ღამე (24 საათი)	1 დღე-ღამე (24 საათი)
მოტოციკლი	4 ლარი	2 ლარი
მსუბუქი ავტომანქანა	8 ლარი	4 ლარი
მიკროავტობუსი	10 ლარი	5 ლარი
სატვირთო ავტომანქანა	14 ლარი	7 ლარი .“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**